

Mzia Jamagidze

მზია ჯამაგიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Sulkhan-Saba Orbeliani University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Postcolonial Utopia and Hope in Grigol Robakidze's Novel,

The Guardians of the Grail

პოსტკოლონიური უტოპია და იმედი გრიგოლ რობაქიძის რომანში

„მცველნი გრაალისა“

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10933>

Migrant literature plays a key role in shaping national narratives by reinterpreting homeland and memory from a “third space” of displacement (Bhabha, 1994). Early twentieth-century Georgian migrant writing, particularly Grigol Robakidze's *The Guardians of the Grail* (1937), offers a significant example. Traditionally read as a re-mythologization of national collective memory (Tsagareli, 2019; Jaliashvili, 2018), the novel can also be approached as a postcolonial utopia (Ashcroft, 2017). In the context of Soviet occupation and 1930s repressions, the Grail functions as a utopian symbol that preserves hope, continuity, and belief in the nation's future.

Keywords: Postcolonial utopia, Hope, Emigrant literature, National future

საკვანძო სიტყვები: პოსტკოლონიური უტოპია, იმედი, ემიგრანტული მწერლობა, ნაციონალური მომავალი

ნაციონალური ნარატივის ფორმირებისა და სამშობლოს შესახებ წარმოდგენების განსაზღვრაში ემიგრანტულ ლიტერატურას განსაკუთრებული ფუნქცია და მნიშვნელობა ენიჭება. უპირველესად იმის გამო, რომ ემიგრანტულ მწერლობას შესაძლებლობა აქვს შუალედური, ე.წ. „მესამე სივრციდან“ (Bhabha, 1994) მოახდინოს ნაციონალური მეხსიერების, ნარატივისა თუ სივრცის აქტუალიზება და რეინტერპრეტაცია. ამ პერსპექტივიდან გასული საუკუნის დასაწყისში იძულებით ემიგრაციაში გახიზნული ქართველი მწერლების შემოქმედება რამდენიმე კონტექსტში იძენს მნიშვნელობას. ერთი მხრივ, მათ ჰქონდათ სივრცე გარკვეული დისტანციიდან გაენალიზებინათ და შეეფასებინათ საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის სავალალო შედეგები და ამასთანავე, ეფიქრათ აწმყოსა და მომავლზე – სად ან როგორ უნდა მოეხდინა ნაციონალურ კულტურას მომავლის წარმოსახვა და განჭვრეტა. პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსის, ჰომი ბჰაბჰას მოსაზრებით, „მწერლისთვის ენის არჩევა აუდიტორიის არჩევას ნიშნავს.“ ამდენად, გრიგოლ რობაქიძის რომანი „მცველნი გრაალისა“ (რომელიც პირველად 1937 წელს გერმანულ ენაზე გერმანიაში გამოიცა, ხოლო ქართულად 2012 წელს ითარგმნა), ერთი მხრივ, დასავლური საზოგადოებისთვის საქართვე-

ლოს ოკუპაცია/სოვეტიზაციის ტრაგიკული რეალობის გაცნობა და ამავედროულად, ნაციონალური კულტურის მედეგობისა და მომავლის რწმენის დადასტურება.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს რომანი ინტერპრეტირებულია როგორც ნაციონალური კოლექტიური მეხსიერების მაფორმირებელი ტექსტი, რომელიც აწმყოს რემითოლოგიზაციის გზით აგებს ნაციონალურ ნარატივს. (ცაგარელი 2019; ჯალიაშვილი 2018). მაია ჯალიაშვილის აზრით, მოცემული რომანით გრიგოლ რობაქიძემ შექმნა ადდგენილი საქართველოს მითოპოეტური მოდელი. „ამგვარად, მან შეინარჩუნა ეროვნული იდენტობა და სიმბოლურ-მითოსური პარადიგმებით საქართველოს თავდახსნისა და გადარჩენის რწმენა გამოხატა. რომანში აღწერილი „მითური რეალობა,“ ერთი მხრივ, ქართველ ხალხზე ბოლშევიკური ხელისუფლების ძალადობას წარმოაჩენს, [...] ხოლო მეორე მხრივ, გრაალის თასის მცველთა [...] თავგანწირულობას მაძლისა და ეროვნული მეობის გადასარჩენად“ (ჯალიაშვილი, 2018, გვ. 161). ლევან ცაგარელი კი ამ რომანს წარსულის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად შექმნილ, მეხსიერების სემანტიკით დამუხტულ ტექსტად განიხილავს. „ეროვნული ისტორიის მითითებით, რომანი არა მხოლოდ (ხელახლა) აყალიბებს ქართულ იდენტობას, ანუ „ქართველობას“, როგორც ეს ტექსტშია ცალსახად ფორმულირებული, არამედ ხელახალ მითოლოგიზაციას უკეთებს აწმყოს“ (ცაგარელი, 2019, გვ. 25)!. ავტორის აზრით, კულტურულ კონტექსტს, რის გამოც ქართული იდენტობა (რე)მითოლოგიზდება, საქართველოს გასაბჭოება ქმნის, ხოლო მწერლის სავარაუდო განზრახვას, საქართველოს, ანუ „ქართველობის“ არსის ევროპულ კულტურულ სფეროსთან მაქსიმალური დაახლოება წარმოადგენს (ibid).

ჰომი ბჰაბჰას მოსაზრებით, „ერის მითოსური ნარატივებით წარმოდგენა – შეიძლება ვინმეს წარმოუდგენლად რომანტიკულად და ზედმეტად მეტაფორულად მოეჩვენოს, თუმცა სწორედ პოლიტიკური აზროვნებისა და მხატვრული ლიტერატურის ამ ტრადიციებიდან ჩნდება ერი, როგორც ძლიერი ისტორიული იდეა. იდეა, რომელსაც ამავედროულად სიმბოლური ძალაც გააჩნია“ (Bhabha, 1990 გვ 6). ამ კონტექსტში, თუ გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ სამწერლობო გამოცდილებას გავითვალისწინებთ, უდავოა, რომ ერთ-ერთი წამყვანი სტრატეგია, რაც გასული საუკუნის დასაწყისში ქართულმა მწერლობამ გამოიყენა (მათ შორის არა მხოლოდ ემიგრაციაში შექმნილ ტექსტებში), არის მხატვრულ (პროზაულ, პოეტურ თუ პუბლიცისტურ) ტექსტებში ნაციონალური მითოსის გამოხმობა (გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელიას ტიციან ტაბიძის შემოქმედება ამის ცხადი დასტურია). ამდენად, კანონზომიერია, რომ მათ შემოქმედებაში ქართული კულტურის რემითოლოგიზაცია გარკვეულ პოლიტიკურ მიზანდასახულებასაც იძენს². პოსტკოლონიალიზმის კიდევ ერთი თეორეტიკოსი ბილ ეშკროფტი კოლონიზებულ საზოგადოებებში სამშობლოს განცდაზე მსჯელობისას, ჯონ მაქსველ კუტზეეს რომანს *Dusklands* (1974) იშველიებს, რათა კოლონიზაციის პირობებში „მითების“ კულტივაციის სტრატეგიები ახსნას. კუტზეეს რომანში მითები წარმოდგენილია, როგორც გარკვეულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ძალაუფლების მქონე ნარატივები, რომელიც ან ამართლებს არსებულ რეალობას, ანდა პირიქით, უპირიპირდება მას. ნიშანდობლივია, რომ მითებთან პირდაპირი შებრძოლება ეფექტურ სტრატეგიად არ განიხილება, რადგან ამგვარი წინააღმდეგობა თავად ამ მითებს აძლიერებს. გაცილებით ეფექტურ სტრატეგიად განიხილება მითების გადახედვა და ერის დამფუძნებელი მითოსთვის საფუძვლის გამოცლა. თუმცა ყველაზე დახვეწილი წინააღმდეგობის ფორმაახალი ნარატივების ან მითოლოგიების შექმნას გულისხმობს. ეშკროფტის მიხედვით, ახალ პოლიტიკურ რელობა-

¹ უცხოენოვანი წყაროების თარგმანი ჩემია.

² გასული საუკუნის დასაწყისში ნაციონალური მითოსური წარსულის აღორძინებას არაერთი ქართველი მოდერნისტი მწერალი მიმართავს. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ის იყო რომ თავად მოდერნიზმს აინტერესებს მითი, როგორც ასეთი, თუმცა ქართულ გამოცდილებაში ამას ჰქონდა ორმაგი ფუნქცია. ქართველი მწერლები მითოსურ წარსულს მიმართავდნენ პოსტკოლონალური მიზანდასახულებითაც, რომ მათ როგორც ნაციონალურ სუბიექტებს ან ქვეყანას როგორც სუბიექტს, აწმყოში თავი დაემტკიცებინა, როგორც ერთ-ერთი უძველესი და კულტურული ერის შთამომავლსა და მემკვიდრეს. ამდენად, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძისა და სხვათა შემოქმედებაში მითები ორ კონტექსტში – მოდერნისტულ და პოსტკოლონიურ კონტექსტში განიხილება.

ში, „ახალი მითოლოგიის შექმნა და გავრცელება პროპაგანდის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. (Ashcroft, 2017 გვ. 50). ეფექტური წინააღმდეგობა წარმოიქმნება სწორედ ალტერნატიული ისტორიების გენერირებით, რომლებიც კულტურულ და პოლიტიკურ ცნობიერებას ცვლის. ამდენად, ბრძოლა ნორმატიული რეალობის შენარჩუნების ან მისი შეცვლისთვის გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ ან პოლიტიკურ წინააღმდეგობას, არამედ უპირველესად ძირითადი ნარატივებისა და იდეოლოგიების გადაკეთებას.

გრიგოლ რობაქიძის რომანში მითების ქმნადობის და მათთან ბრძოლის სწორედ ამგვარი პროცესია აღწერილი. ერთი მხრივ, ველსკი, რომელიც საბჭოთა კოლონიზატორულ ძალას განასახიერებს, ცდილობს, გრაალის თასის მითის პროვანაციას. მისი მსჯელობით, „განსაკუთრებით პრომეთეს ქვეყანაში აღმოჩნდა რთული ღვთის ამოძიკვა, რადგან ამ ქვეყანაში ყველაფერი იდუმალებითაა მოცული. [...] საიდუმლო ხომ ღვთის ყველაზე საიმედო თავშესაფარია. საჭიროა საიდუმლოს გამოაშკარავება, მისთვის ნიღბის ახდა, რათა ადამიანმა შეიგნოს, რომ ხილული სინამდვილის მიღმა სხვა არაფერი ძევს. დიახ, საიდუმლო აბრკოლებს ადამიანის თავისუფლებას“ (რობაქიძე 2012, გვ. 261-263). ველსკის აზრით, ის, ვინც საიდუმლოს გასტეხს და ცოდვას არ შეუშინდება, უბრალო მკრეხელზე განუზომლად მეტია და სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამდენად, ველსკის ეს სიტყვები საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ სტრატეგიას აღწერს¹. ამ სტრატეგიას რომანში უპირისპირდება ადგილობრივი ნაციონალური კულტურის წარმომადგენლების სტრატეგია, აწმყოს რემითოლოგიზაციით, ახალი ნაციონალური მითების შექმნით შეეწინააღმდეგონ საბჭოთა პროპაგანდას. მითებს პოტენციალი აქვთ პოლიტიკურ პროცესში წარმოქმნან რეზისტენტული ადგილები და პოლიტიკური წინააღმდეგობის არაპროგნოზირებად და უკონტროლო ძალებად იქცნენ. ამდენად, მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულ მოდერნისტულ რომანში ქართული მითოსისადმი გამჟღავნებული ინტერესი არა მხოლოდ მოდერნისტული ესთეტიკით აიხსნება, ამავდროულად, პოსტკოლონიურ კონტექსტში, ეს რომანები ინტერპრეტირდება, როგორც რეზისტენტული ნარატივის მაფორმირებელი ტექსტები, რომლებიც ამუშავებენ და ქმნიან ნაციონალური ნარატივის ახალ მითოლოგიას, როგორც დომინანტ ძალასთან ნაციონალური კულტურისა და იდენტობის წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმას. გრიგოლ რობაქიძის რომანში გრაალის თასი, „საქართველოს მფეთქავი, ცოცხალი გულის“ სიმბოლოა. მისი მცველები კი ქართული მოდერნისტული კულტურის წარმომადგენლები არიან². რომანი აღწერს 1924 წლის აჯანყების მარცხს, რომელსაც სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. თავად გრიგოლ რობაქიძე რომანის შესახებ ერთ-ერთ წერილში საუბრობს. „არა მგონია მსოფლიო მწერლობაში მდგარიყოს ვინმე ასეთი სიძნელის წინაშე „მითიური“ აცხადო „რეალურში“ და „რეალური“ აცნაურო „მითიურად“. ვფიქრობ, ვსძლიე სიძნელე. მცველნი გრაალისა, ვაზის ჯვარი, ეს ჯვარი გამოჭრილია სწორედ იმ ვაზისგან, რომლის მტევანში თვალი ჩასულა, ჯვარს განსაცდელისას მტევანნი გამოუსხამს, თავის მხრით, მტევანის „ტკბილი“ რაინდებს თასში შეუნახავთ. ეს გრაალი გულია საქართველოსი. ასე მითიური წვეთია იგი რომანში, რომ დიდდება და მდინარედ იქცევა“ (რობაქიძე, 2012 გვ 521). მწერალი ტრილოგიად მოიაზრებს საკუთარ რომანებს „გველის პერანგი“ (1926,) „ჩაკლული სული“ (1932) და „მცველნი გრაალისა“ (1937). ავტორი სწორედ ტრილოგიის ამ ბოლო რომანში, იგონებს იმედის სიმბოლოს –

¹ იდუმალების და მითების ხელოვნურად შექმნა, რომ მასების სამართავად საუკეთესო სტრატეგიაა, ეს საბჭოთა სისტემას კარგად ესმოდა. ერთი მხრივ, ისინი ებრძვიან და ანადგურებენ ადგილობრივ ცოდნას, რელიგიას და მითებს, თუმცა ამის პარალელურად, ამკვიდრებენ საბჭოთა მითოლოგიას და სტალინის პიროვნულ კულტს, ქმნიან მისი როგორც უსაზღვრო ძალაუფლების მქონე ლიდერის ხატს, რომელსაც ევალდებოდა მტრების დასჯა და ქვეყნის წარმატება. ეს მითოლოგია ხშირად სტალინს წარმოაჩენდა, როგორც მზრუნველ მამას გადამრჩენელის როლში, რომელიც უმწიკვლოდ ატარებდა მმართველობის ტვირთს და ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ამ მითოლოგიის გამოყენებით შეექმნა ერთიანი, საბჭოთა იდეოლოგიაზე დაფუძნებული იდენტობა.

² როგორც რობაქიძის შემოქმედების მკვლევრები აღნიშნავენ, რომანის პერსონაჟებს რეალური პროტოტიპები ჰყავთ: ოდილიანი – პაოლო იაშვილი, ავალა – ტიციან ტაბიძე, მამია ოდიშელი – შალვა დადიანი, მზისავარ-აპოლონ წულაძე, ჰიდდირ - მემედ აბაშძე, მარიჯანი - კოტე მარჯანიშვილი, უშანგ - უშანგი ჩხეიძე, ხორავ - აკაკი ხორავა, ვასსა - აკაკი ვასაძე და სხვა. (რობაქიძე 2012 გვ. 521).

გრაალის თასს და ქმნის მითოსურ ნარატივს, როგორც საბჭოთა ოკუპაციასთან დაპირისპირების რეზისტენტულ ფორმას, რომ იმედი და მომავლის რწმენა შეუნარჩუნოს საზოგადოებას. მართალია, 1924 წლის აჯანყება დამარცხდა, თუმცა არ მოკვდა მთავარი - თავისუფლების მოპოვების იმედი. გრაალი თავის მცველთან ერთად დაიმარხა მუხის ხეში. „იმავე ღამით თბილისისგან შორს, სოფლად მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა ნახა სიზმარი. შვილი ძუმს სწოვდა. უცნაურად შეკრთა და გამოეღვიძა. რახანი იყო ძუმუ გამოშრალი ჰქონდა. კვლავ ჩაეძინა და ესიზმრა თითქოს მისი ბიჭუნა წყალს სვამდა ვარსკვლავით მბრწყინავი თასიდან (რობაქიძე, 2012 გვ. 503). რომანის ფინალში გამჟღავნებული მომავლის ამგვარი რწმენა ქმნის შესაძლებლობას, განვიხილოთ ის, როგორც პოსტკოლონიური უტოპიანიზმით გამსჭვალული და იმედის მაკულტივირებელი ტექსტი.

პოსტკოლონიური უტოპია როგორც ლიტერატურული ჟანრი და პოსტკოლონიური უტოპიანიზმი, როგორც ცნება ლიტერატურის კვლევებში თავდაპირველად რალფ პორძიკმა (2001) შემოიტანა, ხოლო შემდგომ ბილ ეშკროფტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ცნებათა ანალიზი. ეშკროფტის მიხედვით, პოსტკოლონიურ საზოგადოებებში მომავლის აზროვნება ყველაზე ნათლად ვლინდება იმ გზებით, რომლითაც ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა და სხვა კულტურული პროდუქცია შესაძლებლობის განცდას ქმნის, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა კონკრეტული უტოპიის წარმოდგენა, არამედ მომავლის შესაძლებლობის დეკლარაცია მხატვრული ნარატივით. პოსტკოლონიური უტოპიანიზმი იბადება ანტიკოლონიური აქტივიზმიდან, რომელიც დამოუკიდებელი ერის პერსპექტივაზე არის ორიენტირებული და ტრანსფორმირებული ნაციონალური მომავლის მუდმივ რწმენად გადაიქცევა (Ashcroft, 2017 გვ. 4). „მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი, რასაც წარმოვიდგენთ, მიღწევადი არ არის, [...] სწორედ იმედის სული და წარმოსახვა დევს პოსტკოლონიური უტოპიანიზმის საფუძველში (ibid გვ. 5). მხატვრულ ტექსტში კრეატიულობისა და იმედის ურთიერდაკავშირებას აქვს წინააღმდეგობის წარმოების ფუნქცია და ტრანსფორმაციის ძალა. მოცემულ რომანში სწორედ ამგვარი მიზანდასახულებით ქმნის რობაქიძე გრაალის თასის, როგორც ნაციონალური მომავლისა და იმედის სიმბოლოს. როგორც მაია ჯალიაშვილი აღნიშნავს, „გრაალის თასის მხატვრული სახის შექმნით, მწერალმა საქართველო გაამთლიანა და გადაარჩინა, მას შეუნარჩუნა საკრალურობა, რომლის შებღალავსაც ცდილობდა ბოლშევიკური ხელისუფლება (ჯალიაშვილი, 2018 გვ. 167).

ჰომი ბჰაბჰა სწორედ ასეთ სამუშაოს განიხილავს ემიგრანტული მწერლობის მთავარ ამოცანად, რომ მწერლებმა საკუთარი ტექსტებით გააფართოონ დისკუსია კოლონიური ძალების და კოლონიზებული საზოგადოებების თვითრეპრეზენტაციის ფორმებზე, თავისუფლებისა და მომავლის ალტერნატიულ ხედვებსა და დისკურსებზე; ისაუბრონ ფართო და კულტურულად მრავალფეროვან აუდიტორიასთან, რაც შესაძლებლობას ქმნის, რომ ხელახლა იქნას წარმოდგენილი ამა თუ იმ ერის მომავლი (Bhabha, 1994, გვ. 160). ჰიბრიდიზაციის შუალედური სივრციდან მწერლები ერთდროულად ებრძვიან იდენტობის, ადგილის, ერისა და ისტორიის თემებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. მიგრანტი მწერლები „კონფლიქტიდან განახლებას წარმოიდგენენ“, რასაც ბჰაბჰა ჰიბრიდიზაციის შედეგად შუალედურ სივრცეში შესრულებულ „სასაზღვრო სამუშაოს“ უწოდებს.

ამდენად, მოცემული ინტერპრეტაციით, გრიგოლ რობაქიძის რომანი „მცველნი გრაალისა“ არა მხოლოდ ნაციონალური კოლექტიური მეხსიერების აღდგენისა და განახლების მცდელობაა, ამავდროულად, ის წარმოადგენს პოსტკოლონიური უტოპიანიზმით გამსჭვალული ტექსტსაც, რომელიც ტრავმული ისტორიული გამოცდილებისა და იმჟამინდელი ტრაგიკული აწმყოს პირობებში, ანახლებს ნაციონალურ ნარატივს, აყალიბებს ეროვნული იდენტობის განახლებულ მოდელს და ქმნის გრაალის თასის, როგორც ნაციონალური იმედისა და მომავლის რწმენის სიმბოლოს, რომელიც ნაციონალური მომავლის განახლებისა და აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- რობაკიძე, გ. (2012). *მცველნი გრაალისა*. თბილისი: „ინტელექტი“.
- ჯალიაშვილი, მ. (2013). *დარღვეული დრო-სივრცის აღდგენილი მითოპოეტური მოდელი (გრეგოლ რობაკიძის „მცველნი გრაალისა“ მიხედვით)*. კრებულში ლიტერატურა დევნილობაში: ემიგრანტების მწერლობა (მე-20 ს. გამოცდილება) (ნაწ. 2, 161–167). VII საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
- Ashcroft, B. (2017). *Utopianism in postcolonial literatures*. Routledge.
- Bhabha, H. K. (Ed.). (1990). *Nation and narration*. Routledge.
- Bhabha, H. K. (1994). *The location of culture*. Routledge.
- Tsagareli, L. (2019). *Remythologization of the national. Grigol Robakidze's Die Hüter des Gals as novel of memory / Remythisierung des Nationalen. Grigol Robakidzes Die Hüter des Gals als Gedächtnisroman*. Arcadia, 54(1), 22-46.

References:

- Ashcroft, B. (2017). *Utopianism in postcolonial literatures*. Routledge.
- Bhabha, H. K. (Ed.). (1990). *Nation and narration*. Routledge.
- Bhabha, H. K. (1994). *The location of culture*. Routledge.
- Jaliashvili, M. (2013). *Darghveuli dro-sivrtsis aghdgenili mitop'oet'uri modeli (grigol robakidzis „mtsvelni graalisa“ mikhedvit). k'rebulshi lit'erat'ura devnilobashi: emigrant'ebis mts'erloba (me-20 s. gamotsdileba) (nats'. 2). [A Restored Mythopoetic Model of Disturbed Time-Space (According to Grigol Robakidze's "Guardians of the Grail")]. In the collection Literature in Exile: Emigrant Writing (Experience of the 20th Century) (Vol. 2). VII saertashoriso simp'oziumi lit'erat'uratmtsodneobis tanamedrove p'roblemebi. tbilisi: tbilisi sakhelmts'ipo universit'et'i. 161-167*. Tbilisi: TSU-s gamomtsemloba.
- Robakidze, G. (2012). *Mtsvelni graalisa. [Guardians of the Grail]*. Tbilisi: „int'elekt'i“.
- Tsagareli, L. (2019). *Remythologization of the national. Grigol Robakidze's Die Hüter des Gals as novel of memory / Remythisierung des Nationalen. Grigol Robakidzes Die Hüter des Gals als Gedächtnisroman*. Arcadia, 54(1), 22-46.